საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნინო ქადაგიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 20.12.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ამირან ძაბუნიძის კანდიდატურა?
დიახ (circled)   არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ამირან ძაბუნიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1/207 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად.

საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის N1/237 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 25 პირი, მათ შორის - **ამირან ძაბუნიძე.**

პროცედურაში მონაწილე კანდიდატის შესახებ ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ინფორმაციის გაცნობისა და საჯარო მოსმენის შედეგების შესაბამისად, ამავე ორგანული კანონით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, მოვახდინე კანდიდატის შეფასება.

კანდიდატთან დაკავშირებული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, დადასტურებულად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3.1 მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

კანდიდატი ასევე შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3.2 მუხლით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების - სამართლის ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის, წერის უნარის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, პროფესიული თვისებების, აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის მიხედვით. მითითებული მახასიათებლების ანალიზით და შეჯერებით, თითოეული მახასიათებლისათვის „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული წესით მინიჭებული ქულების შეჯამებით, კომპეტენტურობის კრიტერიუმში კანდიდატმა დააგროვა 88 ქულა, რაც მითითებული კრიტერიუმისათვის დადგენილი ქულათა მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინებით, ქმნის კანდიდატის საუკეთესოდ წარმოჩენის შესაძლებლობას და თავის მხრივ, მაძლევს კანდიდატის მხარდაჭერის საფუძველს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და ვიღებ გადაწყვეტილებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის მიზნით, საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირო **ამირან ძაბუნიძის** კანდიდატურას.

ნინო ქადაგიძე

20.12.21 წ.